



ადმონსავლეთის პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის
საქართველოს ეროვნული პლატფორმა



მესამე სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი

თარიღი: 28 ივნისი, 2013 წელი

დრო: 11:00 – 13:00 საათი

შეხვედრის ადგილი: ევროპის სახლი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ნინო თხილავა - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
2. ნინო ჩხოზაძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა (თანაკოორდინატორი)
3. თამაზ ვაშაკიძე - საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი (თანაკოორდინატორი)
4. მურმან მარგველაშვილი - მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის
5. თამაზ მარსაგიშვილი - ასოციაცია ევროპული კვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის
6. კახა ნადირაძე - ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაცია
7. ვახტანგ ზარქუა - ენერგოეფექტურობის ფონდი
8. დათო ჭიპაშვილი - ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"
9. ანზორ დუნდუა - საქართველოს ენერგო-რესურსების ეფექტურად გამოყენების ასოციაცია
10. რეზო გეთიაშვილი - კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი
11. ნუგზარ სულამანიძე - კავშირის "ეკოტეკი"
12. რევაზ ბურჭულაძე - ასოციაცია "ქალი და ბიზნესი"
13. მანანა დევომე - ფონდი "კავკასიის ეკოლოგია"
14. მერაბ დადიანი - "ქართული ოცნების" საზოგადოებრივი მოძრაობა, ენერგეტიკული ჯგუფი

15. თენგიზ გრძელიძე - "ქართული ოცნების" საზოგადოებრივი მოძრაობა, ენერგეტიკული ჯგუფი
16. ზადრი ჯაფარიძე - "ქართული ოცნების" საზოგადოებრივი მოძრაობა, ენერგეტიკული ჯგუფი

შეხვედრა გახსნა ჯგუფის თანაკოორდინატორმა და დამსწრეებს წარუდგინა სტუმარი გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროდან. თანაკოორდინატორმა სამინისტროს წარმომადგენელს მოკლედ გააცნო ეროვნული პლატფორმა, მისი სტრუქტურა, მესამე სამუშაო ჯგუფის საქმიანობა, მიზნები და ამოცანები.

ჯგუფის წევრებმა პირველ საკითხად განიხილეს საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულება. სამინისტროს წარმომადგენელმა დეტალურად ისაუბრა ხელშეკრულებაში მოცემულ გარემოს დაცვის თავზე. მისი თქმით, ხელშეკრულებაზე მუშაობა 2011 წელს დაიწყო და დაახლოებით წელიწადნახევრის განმავლობაში მიმდინარეობდა. ამ პერიოდში თითქმის ყოველ ხუთშაბათს ეწყობოდა ტელეკონფერენცია საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ბრიუსელს შორის. ტელეკონფერენციებისთვის მზადდებოდა ანგარიშები იმის დასადგენად თუ რა ვითარება იყო გარემოს დაცვის ამა თუ იმ სფეროში. სწორედ ამ ანგარიშების მიხედვით მოხდა თითოეულ მიმართულებაზე კონკრეტული ვალდებულებების დაწესება.

ასოცირების ხელშეკრულებაში გარემოს დაცვის სექტორი წარმოდგენილია სულ ორი თავით: ერთი ეხება გარემოს დაცვას, ხოლო მეორე - კლიმატის ცვლილებას და მოიცავს ისეთ მიმართულებებს, როგორც არის კლიმატის ცვლილება და ოზონის გაიშვიათება. აღნიშნული თავები შედგება სულ 8 ქვეთავისგან, კერძოდ გარემოს დაცვითი მართვის და სხვა სფეროებში გარემოს დაცვის საკითხების ინტეგრაცია, წყლის ხარისხი და წყლის რესურსების მართვა, ნარჩენების მართვა, ბუნების დაცვა, ინდუსტრიული დაბინძურების საფრთხეები, ქიმიური ნივთიერების მართვა, კლიმატის ცვლილება და ოზონის შრის დაცვა. ქვეთავებში მოცემულია დირექტივები და ის კონკრეტული მუხლები, რომელთა შესრულებაც საქართველოსთვის სავალდებულო გახდება ასოცირების ხელშეკრულების რატიფიცირების შემდეგ. თითოეულ დირექტივას შესასრულებად მინიჭებული აქვს გარკვეული ვადა, რომლის ათვლაც დაიწყება ხელშეკრულების რატიფიცირების შემდეგ. ხელშეკრულების ხელმოწერა იგეგმება მიმდინარე წლის ბოლოს ვილნიუსის სამიტზე. რატიფიცირების პროცესი დაიწყება ხელმოწერის შემდეგ. რატიფიცირება შესაძლებელია მოხდეს ერთიანად ბრიუსელში ან წევრი ქვეყნებიდან ცალ-ცალკე, ამ შემთხვევაში რატიფიცირების პროცესი გაგრძელდება უფრო დიდხანს.

ქვეთავებში მოცემულია შემდეგი დირექტივები: საჯარო და კერძო სექტორის გარემოს დაცვის ზეგავლენის შეფასების დირექტივა, ჰაერის ხარისხის დირექტივა, დარიშხანის, კადმიუმის, ვერცხლისწყლის, ნიკელის ჰაერში გაფრქვევის ნორმატივების დაწესების შესახებ დირექტივა. ნარჩენებზე არის სამი ძირითადი დირექტივა - ჩარჩო დირექტივა, რომელიც არეგულირებს მთელს მართვას, ნაგავსაყრელების რეგულირების შესახებ დირექტივა, რომელსაც მიეცა 8 წელი აბსოლიტურ შესრულებამდე და წიაღისეულის მოპოვების დროს წარმოქმნილი ნარჩენების მართვის დირექტივა. ყველა ზემოთ დასახელებულ დირექტივას მინიჭებული აქვს

შესრულების ვადა (2 დან 7-9 წლამდე). ამ დირექტივების მიხედვით სახელმწიფო ვალდებულია პირველ რიგში შექმნას ეროვნული კანონმდებლობა და დაასახელოს კომპეტენტური ორგანო.

სამინისტროს წარმომადგენლის თქმით, აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა ეროვნულ კანონმდებლობაზე. 2013 წლის მარტში გადამუშავდა ნარჩენების კანონი. პარალელურად წყლის რესურსების სამმართველო ამუშავებს წყლის მართვის ახალ კანონპროექტს. რაც შეეხება სანებართვო საქმიანობას, სტრატეგიული გარემოს დაცვისა და გარემოზე ზემომოქმედების შეფასების პროცედურების დახვეწის ხელშეწყობის თხოვნით სამინისტრომ მიმართა ევროპის ეკონომიკურ კომისიას. უკვე მიღებულია თანხმობა კომისიიდან და სექტემბრიდან დაიწყება ამ მიმართულებით მუშაობა.

ამის შემდეგ დამსწრეებმა იმსჯელეს საპარლამენტო კომიტეტებთან შეხვედრის გამართვის საკითხზე. წევრები შეთანხმდნენ, რომ ივლისის ბოლოს ჯგუფის შემდეგი გეგმიური შეხვედრა გაიმართება პარლამენტში. შეხვედრის ძირითადი მიზანი იქნება კომიტეტებისთვის მესამე სამუშაო ჯგუფის გაცნობა და აქტუალურ საკითხებზე მსჯელობა. დამსწრეები შეთანხმდნენ ასევე, რომ პარლამენტის შეხვედრამდე ჩატარდება რიგგარეშე შეხვედრა (სავარაუდოდ 16 ან 17 ივლისს), რომელშიც მონაწილეობას მიიღებს წარმომადგენელი ენერგეტიკის სამინისტროდან.

თანაკოორდინატორებმა ჯგუფის წევრებს აცნობეს, რომ პლატფორმის პროექტის ფარგლებში დაიწყო მუშაობა მეორე საინფორმაციო ბიულეტენზე, რომელშიც აისახება სამუშაო ჯგუფების და ცალკეული წევრი ორგანიზაციების მიერ მათი-ივნისის თვეში ევროკავშირთან ინტეგრაციის მიმართულებით განხორციელებული აქტივობები. გადაწყდა, რომ მსურველები მომდევნო ორი დღის განმავლობაში თანაკოორდინატორებს გაუგზავნიან შესაბამის ინფორმაციას.

შეხვედრის ბოლოს ენერგოეფექტურობის ფონდის წარმომადგენელმა წამოაყენა ინიციატივა ჯგუფის ექვსთვიანი მუშაობის ანგარიში მომზადებასთან დაკავშირებით. ორგანიზაციის წარმომადგენლის თქმით, კარგი იქნება თუ ჯგუფის წევრები შეაფასებენ გაწეულ სამუშაოს, გამოავლენენ ხარვეზებს და უკეთ დაგეგმავენ მომავალ საქმიანობას. მსჯელობის შედეგად გადაწყდა, რომ ჯგუფი ამ მიმართულებით მუშაობას დაიწყებს მიმდინარე წლის სექტემბერში.

ორსაათიანი განხილვის შემდეგ ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე ბულია